ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 538

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის №1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 62-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 09 სექტემბრის №22.1409.1527 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის №1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, №01.15.02.055.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილში.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე

განკარგულება - N 22.1409.1527
9 / სექტემბერი / 2022 წ.

,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და ,,ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ

,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის სხვაგვარად შეუძლებელია გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტების დადგენა, აგრეთვე, ამ წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იმავე დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახური და ამზადებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს:

ა) I ეტაპი _ განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) II ეტაპი _ განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ხოლო, ,,ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

,,თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 თებერვლის (საქმე N3/4862-17) გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი) 2022 წლის 16 აგვისტოს №723 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლერი წოწორიას წარმომადგენლის, ირმა მახათაძის 2017 წლის 12 ივლისის N19/01171931052-01 ადმინისტრაციული საჩივარი. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის №1163759 გადაწყვეტილება და 2014 წლის 30 ივლისის №1393925 ბრძანება იმ ნაწილებში,

რომლებითაც №01.15.02.055.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა და ამ ნაწილში დაეკვალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და ,,ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ექვემდებარება ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას №01.15.02.055.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილში.

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და ,,ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება დასაშვებია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39

დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და ,,ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ე. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202